პროდუქტიული ფენის გახსნის ეფექტურობაზე დიდ გავლენას ახდენს საბურღი ხსნარის შედგენილობა, განსაკუთრებით იზრდება ხსნარის რეცეპტურის მნიშვნელობა ბურღვის გართულებული პირობების დროს. პროდუქტიული ფენის გახსნა და წარმატებით ათვისება დამოკიდებულია კოლექტორების გეოლოგიურ და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე, ასევე საბურღი ხსნარის ხარისხზე. ჭაბურღილების ნავთობგაცემის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი პროდუქტიული ფენის კოლექტორების ბუნებრივი ფორიანობისა და შეღწევადობის შენარჩუნებაა ბურღვის დროს. ცნობილია, რომ კოლექტორების ნავთობგაზგაცემა მკვეთრად მცირდება ფენში სარეცხი სითხის ფილტრატის ან თვით ხსნარის შეღწევის შედეგად. პროდუქტიულ ფენში სარეცხი სითხის ფილტრატის დაგროვება პროდუქტიულ ფენში იწვევს ნავთობისა და გაზის ბუდობებზე წყლის მახლოკირებელ ზემოქმედებას, რომელიც განპირობებულია კაპილარული და ზედაპირული პროცესებით. ეს პროცესები ვითარდება კოლექტორის სარეცხ სითხეებთან ურთიერთქმედების დროს. წყლის მოხვედრა ნავთობის კოლექტორებში წარმოშობს მდგრად ნავთობწყლიან ემულსიას, რომლის შემდგომი გამოდევნა ფენებიდან ძალიან ძნელია.



**ვალერი ხითარიშვილი,**  
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; ტექნ. მეცნ. დოქტორი; სტუ-ის „ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის“ მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ჭაბურღილში ჰიდროსტატიკურ და ფენის წნევებს შორის სხვაობა იწვევს არა მარტო ფილტრაციულ პროცესებს, არამედ სარეცხი სითხის მყარი ფაზით კოლექტორის შეთიხვას. პროდუქტიული ფენის კედლებზე თიხის ქერქის დალექვა ართულებს ჭაბურღილის ათვისებას.

ჭაბურღილში ჰიდროსტატიკურ და ფენის წნევებს შორის სხვაობა იწვევს არა მარტო ფილტრაციულ პროცესებს, არამედ სარეცხი სითხის მყარი ფაზით კოლექტორის შეთიხვას. პროდუქტიული ფენის კედლებზე თიხის ქერქის დალექვა ართულებს ჭაბურღილის ათვისებას.



მაია ასათიანი,  
აკადემიური დოქტორი

ყოველივე ეს იწვევს რთულ ფიზიკურ-ქიმიურ და ჰიდროდინამიკურ პროცესებს, ამცირებს ნავთობგაცემას, ცვლის კოლექტორის ფორიანობას და შელწვევადობას.

საბურღი ხსნარის ფილტრაციის გავლენა პროდუქტიულ ფენზე შესწავლილია მეცნიერი მკვლევარების მიერ [1,3], რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ძლიერ ნაპრალოვან ფენებში შესაძლებელია სარეცხმა სითხემ შეაღწიოს 40–50 მეტრამდე. ხსნარის შელწვევამ ასეთ სიღრმეში შეიძლება გამოიწვიოს ქანების ფოროვანი სივრცის გათიხვა და ფენის ჰიდროდინამიკური იზოლაცია. შელწვევა მსხვილმარცვლოვან ფენში არ აღემატება 20–25 მმ-ს, ხოლო წვრილმარცვლოვან ფენში - 1-2 მმ-ს. დადგენილია, რომ ქვიშაქვებში, რომელთა შელწვევადობა იცვლება 0,47-5 დარსამდე, ხოლო წნევათა სხვაობა 100 კგ/სმ<sup>2</sup>-ის ტოლია. ხსნარი ფორებში არ შედის.

სარეცხი სითხის მყარი ნაწილაკების შელწვევის სიღრმე ფენში დამოკიდებულია ფორებსა და მასში შეღწეული მყარი ფაზის ნაწილაკების ზომებზე. თიხის ქანების ბურღვისას სარეცხი სითხის ფილტრატის შელწვევა ფენში იწვევს თიხოვანი ქანების გაჯირჯევას, რაც მახლოკირებელ ზემოქმედებას ახდენს ნავთობის ან გაზის ბუდობებზე, რომელიც ხელს უწყობს ფენის ფოროვანი სივრცეში მდგრადი ნავთობწყლიანი ემულსიის წარმოქმნას, ამავე დროს სარეცხი სითხის კომპონენტები რეაქციაში შედის ჭაბურღილის კედლების შემადგენელ ქანებთან. ამ დროს წარმოიქმნება უხსნადი მარილები და მყარი ნალექები, რომლებიც იწვევენ ქანების ფორების დაცობას (კოლმოტაციას). თუ კოლექტორის შემადგენელი ქანები წარმოადგენს მონტმორილონიტიან თიხებს, მაშინ მათი კონტაქტი სარეცხი სითხის ფილტრატთან ფენის ინტენსიურ დაცემას იწვევს.

## 2. ძირითადი ნაწილი

პროდუქტიული ფენის კოლექტორის შელწვევადობის შემცირება, თიხების გაჯირჯევების გამო, დამოკიდებულია მის შედგენილობასა და განაწილებაზე ფენში, ფორიანი სივრცის სტრუქტურასა და ფიზიკურ თვისებებზე, სარეცხი სითხის, ფილტრატის ფენის წყლების ქიმიური შედგენილობის *pH* გარემოზე და ა.შ.

თიხების ყველაზე მეტი გაჯირჯევა შეიმჩნევა მტკნარ, ტუტიან წყალში (ფილტრატში) და მნიშვნელოვნად ნაკლები – მინერალიზებულ წყლიან გარემოში. კაოლინიტური თიხები პრაქტიკულად ერთნაირად იჯირჯევა როგორც მტკნარ, ასევე მინერალიზებულ ფილტრატებში, მაგრამ მათი გაჯირჯევების სიდიდე რამდენადმე ნაკლებია მონტმორილონიტური თიხების გაჯირჯევაზე. თიხების გაჯირჯევა შეიძლება შევამციროთ საბურღი ხსნარების დამუშავებით, სპეციალური ინჰიბირებული დანამატებითა და მაღალმოლეკულური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებით.

ნავთობგაზშემცველ კოლექტორებში არსებობს დადგენილი წონასწორობა „ნავთობი-გაზი-წყალი-ქანი“, რაც განპირობებულია განსაზღვრული ნავთობგაზშელწვევადობით. ფენში სარეცხი ხსნარის ფილტრატის ან წყლის მოხვედრისას ეს წონასწორობა ირღვევა და ადგილი აქვს ფენში ფლუიდის შელწვევას და წყლით გამოდევნას. ფენის წყალგაჯერებით წარმოებს შეფარდებითი შელწვევადობის ცვლილება და ნავთობგაზშელწვევადობის შემცირება. თითოეული თხევადი ფაზი-

სთვის შეფარდებითი შეღწევადობა დამოკიდებულია კოლექტორის გაჯერებული სითხეების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე.

წყალი ასველებს ქანებს, წარმოქმნის მათზე თხელ აფკებს (კელისპირა შრეებს). იმისათვის, რომ აფსკმა შეამციროს მავნე გავლენა კოლექტორზე (რომელიც ნავთობს შეიცავს) საბურღი ხსნარის წყლის ფაზას უმატებენ ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს. ეს დანამატი მკვეთრად ამცირებს წყლის ზედაპირულ დაჭიმულობას, რაც ხელს უწყობს წყლის გამოდენას ფენიდან ნავთობით. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებს შეუძლია შეამციროს წყლის მავნე ზემოქმედება პროდუქტიულ ფენზე, მაგრამ მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელია.

პროდუქტიული კოლექტორების შეღწევადობა და ნავთობგაცემა მნიშვნელოვნად მცირდება ფენის დაცობის დროს, საბურღი ხსნარების მყარი ფაზით. მყარი ნაწილაკები მოხვდება ფენში, ახდენს მის კოლმობირებას და ურთიერთქმედებს ფენის წყალთან, ამავე დროს ხდება ფლაკულაცია და დალექვა ფოროვან სივრცეში.

$NaCl$ -ით გაჯერებული საბურღი ხსნარების ურთიერთქმედების დროს  $Ca$ -ის და  $Mg$ -ის შემცველი ფენის წყალთან შესაძლებელია  $NaCl$ -ის გამოკრისტალება, რაც ფორების დაცობას გამოიწვევს.

პროდუქტიული ჰორიზონტების გახსნისათვის საბურღი ხსნარების შედგენილობის შერჩევისას აუცილებელია გამორიცხულ იქნეს უხსნადი მარილების წარმოქმნის შესაძლებლობა ნავთობგაზიანი კოლექტორის ფორებიან სივრცეში.

მყარი ფაზის და გაზის ნაწილაკების შეღწევის სიღრმე გრანულირებულ კოლექტორებში, რომლის ქანების შეღწევადობა  $0,1-0,5$  მკმ<sup>2</sup> ტოლია რამდენიმე მმ-დან რამდენიმე სმ-მდე. ცალკეულ შემთხვევაში ასეთი არაღრმა კოლმობაცია სასურველია, რათა შეზღუდულ იქნეს საბურღი ან სატამპონაჟო ხსნარის ფილტრატის უფრო ღრმა შეღწევა.

ფილტრატის შეღწევის ზონის რადიუსმა შეიძლება მიაღწიოს რამდენიმე მეტრს, თუმცა ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ ისეთი ხსნარები, რომელთაც აქვთ მინიმალური წყალგაცემა, რათა შემცირებულ იქნეს ფილტრატის სიღრმე. ასეთი საბურღი ხსნარების გამოყენება არ გამოირიცხავს ფენის გაჭუჭყიანებას, რადგან საბურღი ხსნარის ფილტრატი მაინც შეაღწევს ფენში.

თუ ფილტრატი შესულია კოლექტორში, რომელიც შედგება თიხური ქანებისაგან, ის იწვევს თიხის ნაწილაკების გაჯირჯვებას, ახდენს ფოროვანი სივრცის ჰიდროფილიზაციას, ქმნის ძნელად ხსნად შენაერთებს ფენის ფლუიდებთან ურთიერთქმედებისას და ამ დროს ფენში შეღწევადობა არსებითად მცირდება, დაბალია აგრეთვე ჭაბურღილის პროდუქტიულობა და ბუნებრივი შეღწევადობა არ აღდგება ფენის ინტენსიური დრენირების დროსაც კი. ამ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული საბურღი ხსნარები, რომელთა ფილტრები არ იწვევს ზემოაღნიშნულს და შეუძლია გაზარდოს ფენების შეღწევადობა.

გამოკვლევების შედეგებმა [2,4] აჩვენა, რომ საბურღი ხსნარის კოლოიდური ნაწილაკები აღწევს ფოროვან სივრცეში 270 მ-დარსი და მეტი შეღწევადობის დროს. ხსნარის მყარი ფაზის ზემოქმედების შედეგად ქვიშაქვების შეღწევადობა სანგრევის ფოროვან სივრცეში მცირდება 135-დან 2-3 მ დარსამდე. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ საბურღი ხსნარში მყარი ფაზის მაღალი კონცენტრაცია უარყოფით ზეგავლენას ახდენს ფენის შეღწევადობასა და ნავთობგაზგაცემაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გამოყენებულ იქნეს თიხამცირე და უთიხო საბურღი ხსნარები ან ხსნარები, რომელიც დამზადებულია ცხრილში მოცემული სხვადასხვა სახის საბურღი ხსნარების გავლენით, ჭაბურღილების კუთრი პროდუქტიულობის კოეფიციენტის გაზრდაზე [1,3].

№	საბურღი ხსნარის სახე	შემცველობა, %	კუთრი პროდუქტიულობის კოეფიციენტი
1	ზედაპირულად აქტიური ნივთიერებით დამუშავებული (ДС – РАС)	0,5-0,1	30-40
2	–”– (ОП – 10)	0,2-0,5	15-20
3	–”– (УЭФ <sub>г</sub> )	0,2-0,5	20-25
4	ინჰიბირებული		40-45
5	ნახშირწყალბადების ფუძეზე		96-98
6	ქაფები		48-80
7	აირადი აგენტები		98-100

ცხრილში მოცემული შედეგებიდან ჩანს, ფენების გახსნისა და ათვისებისათვის ყველაზე ეფექტურია ნახშირწყალბადოვან ფუძეზე დამზადებული ხსნარები, ქაფები და აირადი აგენტების გამოყენება, რომელიც საგრძნობლად ზრდის ნავთობგაზშემცველი კოლექტორების პროდუქტიულობას.

### 3. დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჭაბურღილების ბურღვის დროს პროდუქტიული ფენების გახსნისას აუცილებელია შერჩეულ და გამოყენებულ იქნეს ისეთი შედეგნილობის საბურღი ხსნარები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლექტორების ბუნებრივი ფიზიკური თვისებების შენარჩუნებას და მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქტიული ფენების შეღწევადობას და კუთრი პროდუქტიულობის კოეფიციენტს.

### ლიტერატურა

1. Михеев В.Л. Технологические свойства буровых растворов. М.: Недра, 1979.
2. Практика обработки глинистых растворов в СИСА. М: ГОСИНТИ, 1958.
3. Амирян В.А., Васильева Н.П. Вскрытие и освоение нефтегазовых пластов. Н.:Недра, 1972.
4. ი. გოგუაძე. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკა და ტექნოლოგია, I და II ნაწილი. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004.

## ВЫБОР СПЕЦИАЛЬНЫХ БУРОВЫХ РАСТВОРОВ ДЛЯ ПОВЫШЕНИЯ КАЧЕСТВА ВСКРЫТИЯ ПРОДУКТИВНЫХ ПЛАСТОВ

**РЕФЕРАТ:** На эффективность вскрытия продуктивных пластов большое влияние оказывают состав буровых растворов и геологические и физико-механические свойства коллекторов. Одним из основных факторов улучшения нефтеотдачи скважины является сохранение естественной пористости и проницаемости коллекторов продуктивных пластов. Таким образом, как показал опыт, при вскрытии продуктивного пласта необходимо применять растворы на нефтяной основе, пены и газообразные агенты, которые значительно увеличивают коэффициент удельной продуктивности нефтеносных коллекторов.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** вскрытие продуктивного пласта; буровой раствор; коэффициент продуктивности.

### 1. Введение

На эффективность вскрытия продуктивного пласта большое влияние оказывает состав бурового раствора, особенно растет значение рецептуры раствора при бурении в осложненных условиях. Эффективное вскрытие и освоение продуктивного пласта зависит от геологических и физико-механических свойств коллекторов, а также качества бурового раствора. Одним из главных факторов улучшения нефтеотдачи скважин является поддержание природной пористости и проницаемости коллекторов продуктивного пласта при бурении; нефтегазоотдача чувствительно снижается при проникновении в пласт фильтрата бурового раствора или самого раствора. Накопление раствора в продуктивном пласте вызывает блокирующее действие воды на нефть и газ, которое обусловлено капиллярными и поверхностными процессами. Эти процессы развиваются в коллекторе при взаимодействии с буровым раствором. Попадание воды в нефтяной коллектор образует стойкую водонефтяную эмульсию, которую в дальнейшем очень трудно вытесняют из пласта.

Разница между гидростатическим и пластовым давлением в скважине вызывает не только фильтрационные процессы, но и глинизацию коллектора твердой фазы бурового раствора. Осложнение глинистой корки на стенках продуктивного пласта осложняет освоение скважины, что снижает нефтеотдачу, изменяет пористость и проницаемость коллектора.

Влияние фильтрации бурового раствора на продуктивный пласт изучено учеными [1,3]. Оно показало, что в сильнотрещиноватых пластах буровой раствор может проникать в пласт до 40-50 метров. Установлено, что в песчаниках, проницаемость которых меняется до 0,47-5 дарса, а разница давлений равна 100 кг/см<sup>2</sup>, раствор в поры не заходит.

Глубина вхождения твердых частиц буровых растворов в пласт зависит от отношения размеров пор пласта и твердых частиц. Чем больше размер пор, меньше твердых частиц, тем на большую глубину проникают частицы в пласт. При этом компоненты бурового раствора входят в реакцию с породами, составляющими стенки, вызывают закупорку (кольматацию) пор пласта. Если составляющие породы коллектора представляют монтмориллонитовые глины, тогда их контакт с фильтратом бурового раствора вызывает интенсивную закупорку пласта.

## 2. Основная часть

Снижение проницаемости коллектора продуктивного пласта зависит от состава и свойства глин, химического состава и pH фильтрата бурового раствора и пластовых вод и т.д.

Наибольшее набухание глин наблюдается в пресных, щелочных водах (в фильтрах) и значительно меньше в среде минерализованных вод. Каолинитовые глины практически одинаково набухают, как в пресных, так и минерализованных водах, но их величина набухания в несколько раз меньше, чем у монтмориллонитовых глин. Набухание глин можно снижать путем обработки буровых растворов специальными, ингибированными добавками и ПАВ.

В коллекторах существует установленное равновесие «нефть-газ-вода», которое обусловлено определенной нефтегазопроницаемостью. При попадании в пласт фильтрата бурового раствора или воды это равновесие разрушается и происходит вытеснение пластового флюида с водой. С увеличением водоносности пласта происходит изменение относительной проницаемости и снижение нефтепроницаемости.

Вода смачивает породы, образует на них тонкие пленки; для того чтобы пленка снизила свое вредное влияние на коллектор, в водяную фазу бурового раствора добавляют ПАВ, эта добавка снижает также поверхностное натяжение и вытесняет воды из пласта с помощью нефти. ПАВ могут снизить вредное воздействие воды на продуктивный пласт.

Проницаемость и нефтеотдача коллекторов значительно снижается при закупорке пласта твердой фазой бурового раствора, твердые частицы при попадании в пласт кольматируют его. Твердая фаза, взаимодействуя с пластом воды, вызывает флокуляцию и оседание частиц в пространство пор.

В насыщенных  $NaCa$  буровых растворах, содержащих  $Ca$  и  $Mg$  при взаимодействии пластов с водой возможно кристаллизация  $NaCa$ . При выборе состава бурового раствора для вскрытия продуктивного горизонта необходимо исключить возможность образования нерастворимых солей в поровом пространстве нефтегазовых коллекторов.

Глубина проникновения частиц твердой фазы и газа в гранулированных коллекторах, проницаемость которых равна  $0,1-0,5 \text{ мкм}^2$ , состоит от нескольких мм до нескольких см, в отдельных случаях такой неглубокий кольматаж может быть желателен, для того чтобы преградить более глубокое проникновения фильтрата бурового или тампонажного раствора.

Радиус зоны проникновения фильтрата может достигнуть нескольких метров. При этом стараются применять такие буровые растворы, которые имеют минимальную водоотдачу, для того чтобы снизить глубину проникновения фильтрата. Применение этих растворов не исключает загрязнения пласта, так как фильтрат бурового раствора все-таки проникает в пласт. Если фильтрат находится в коллекторе, который состоит из глинистых пород, фильтрат вызывает набухание глинистых частиц и гидратацию в пространстве пор, создает труднорастворимые соединения при взаимодействии с флюидами пласта, при этом снижается проницаемость пласта, низкая также продуктивность скважины; в таких условиях природная проницаемость не восстанавливается даже при интенсивном дренировании пласта. В этом случае необходимо применять буровые растворы фильтратов, которые вызывают вышеуказанные явления и могут увеличить проницаемость пласта.

Результаты исследований [2,4] показали, что коллоидальные частицы бурового раствора проникают в поровое пространство песчаников при 270 м/дарс и при большей проницаемости. Высокая концентрация твердой фазы бурового раствора отрицательно сказывается на проницаемости и нефтеотдаче пластов. Следовательно, необходимо применять малоглинистые буровые растворы с углеводородной основой.

В таблице приведены результаты влияния различных видов буровых растворов на увеличение коэффициента удельной продуктивности скважин [1,3].

№	Вид бурового раствора	Содержание, %	Увеличение коэффициента удельной продуктивности $q$ , %
1	Раствор, обработанный ПАВ (ДС – РАС)	0,5-0,1	30-40
2	” (ОП – 10)	0,2-0,5	15-20
3	” (УЭФ <sub>8</sub> )	0,2-0,5	20-25
4	Ингибированный раствор		40-45
5	Раствор на основе углеводов		96-98
6	Пены		48-80
7	Аирированные агенты		98-100

Как видно из приведенных данных, для вскрытия и освоения пластов, наиболее эффективными буровыми растворами являются растворы, приготовленные на основе углеводов, пены и аирированных агентов, которые значительно повышают продуктивность нефтесодержащих коллекторов.

### 3. Заключение

Исходя из вышеуказанного, можно сказать, что при бурении скважин во время вскрытия продуктивных пластов необходимо выбрать и применять буровые растворы такого состава, которые обеспечивают сохранение природных физических свойств коллекторов и значительно повышают проницаемость и коэффициент удельной продуктивности пластов.

### Литература

1. Михеев В.Л. Технологические свойства буровых растворов. М.: Недра, 1979.
2. Практика обработки глинистых растворов в СИСА., М.: ГОСИНТИ, 1958.
3. Аммян В.А., Васильева Н.П. Вскрытие и освоение нефтегазовых пластов. Н.:Недра, 1972.
4. ი. გოგუაძე. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკა და ტექნოლოგია, I და II ნაწილი. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004.

უპა 552:528:534.14.621:  
:622:660:29

ტ. სარჯველაძე

## ჰიდროდინამიკური კავიტაციის გამოყენება საბურღი სატექსტო ბურღვის დროს

წარდგენილია საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, პროფ. ი. გოგუაძის მიერ

**რეზიუმე:** წარმოდგენილია კავიტაციის დანერგვის შედეგები საბურღი სატექსტო ბურღვის დროს, სანგრევისპირა ზონის მკვეთრი გასუფთავების მიზნით. კავიტაციური პროცესი იქმნება საბურღი ქვედაში, რომელიც ორი მოდულისაგან შედგება. პირველ მოდულში იქმნება კავიტაცია, როგორც ვენტურის მილისაში, ხოლო მეორე მოდულში წარმოიქმნება წნევის იმპულსები. შედეგად იქმნება კავიტაციური პროცესი საბურღი ხსნარში, რომელიც შეწოვით წარიტაცებს განაბურღ ნაწილაკებს და ზემოთ მიმართავს ტორსული მოძრაობის სივრცეში.

**საკვანძო სიტყვები:** კავიტაცია; საბურღი სატექსტი; სანგრევისპირა ზონა; მოდული; საბურღი ხსნარი; მიღგარე სივრცე.

### 1. შესავალი



ტარიელ სარჯველაძე,  
სტუ-ის „ჭაბურღილების  
ბურღვის ტექნიკისა და  
ტექნოლოგიის“ მიმართულე-  
ბის ასისტენტი პროფესორი

სითხეების ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა ის, რომ იგი კარგავს შეჭიდულობის ერთგვაროვნებას, როდესაც მასზე მოქმედებს განმზიდი ძალები. განმზიდი დაძაბულობა წარმოქმნის ერთგვარ სიცარიელეს კავერნის სახით, რომელშიც თავისუფლად შესაძლებელია ორთქლის ან გაზის წარმოქმნა. მოვლენას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც აბსოლუტური წნევის სიდიდე სივრცეში დაბალია მის აბსოლუტურ კრიტიკულ წნევის სიდიდეზე,  $P_{კვ} \leq P_{აბ.კრიტ.}$ .

კავიტაციას უწოდებენ ჰიდროდინამიკურს, თუ წნევის შემცირება იწვევს ერთიანობის დარღვევას სითხის ნაკადში არსებული ადგილობრივი მაღალი დინების სიჩქარის პირობებში.

ამ მოვლენას ახასიათებს ასევე ხმაური, წივილი და ვიბრაცია, მასალების ეროზიული დაზიანება, ჰიდრაულიკური წინააღმდეგობის გაზრდა მილსადენში, რაც არასასურველ გავლენას ახდენს მილსადენის დანადგარმოწყობილობის მუშაობაზე. კავიტაციის მაჩვენებლების კვლევები, ხმაური, ეროზია და მასთან ბრძოლა მრავალ შრომაშია განხილული [1,2].

ამავე დროს დაგროვილია საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰიდრაულიკური კავიტაციის გამოყენებისა ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციაში: კერძოდ, მანქანათმშენებლობაში—ცხელი გლინვის პროცესში, მეორადი გადახურების, ხენჯის მოსაცილებლად; ქიმიურ მრეწველობაში — სითხეების დისპერგირებისა და ემულგირებისათვის. სამთო მრეწველობაში — ბურღვაში [3].



## 2. ძირითადი ნაწილი

კვლევებმა გვიჩვენა, რომ კავიტაცია გვადლევს მაღალ დისკრეტულ-იმპულსურ ენერგიას სითხის ნაკადში, მაღალამპლიტუდიან რხევებს – ხმოვანი სიხშირის დიაპაზონში.

კავიტაციის მგრეველი ძალებით შესაძლებელია მიკროსკოპული კავერნების წარმოქმნა სითხის შიგნით სპეციალური საცემისების მეშვეობით, რომლებსაც შეწოვა შეუძლია, რამდენადაც მიკროსკოპული კავერნა მოცულობებს შეუძლია შექმნას კონცენტრირებული დაძაბულობები.

წყლის ნაკადით მაღალი ნგრევის განხორციელებისათვის სწორედ კავიტაცია გამოიყენება, რაც შესაძლოა სპეციალური გენერატორით, სპეციალური კონსტრუქციით, ყოველგვარი დამატებითი ენერგიის წყაროს გამოყენების გარეშე.

ასე, მაგალითად, ვენტურის მილის ჰიდრაულიკურ არხში მუდმივი წნევის დროს (შესასვლელში  $\bar{P}_1$  და გამოსასვლელში  $\bar{P}_2$ ) შესაძლებელია პერიოდული-უწყვეტი დენადობის შექმნა, რომლის დროს წარმოქმნილი კავერნა მაქსიმალურად იზრდება. მაქსიმალური სიდიდის დროს ადგილი აქვს დიფუზური მოვლენის მთელი ნაწილის მოწყვეტას. სწორედ ეს პროცესი იწვევს ე.წ. შეწოვას ნაკადში და არა მილის ზედაპირზე.

იმისათვის, რომ შეიქმნას სატენხში ნაკადი, რომლის დროს წარმოიქმნება რხევების მაღალი ამპლიტუდა, სატენხის მილისაში ხსნარის გავლის შემდეგ, დიფუზორის გაღების კუთხე  $\beta > 15^\circ$  და თანაფარდობა დიფუზორის გამომავალი განიკვეთის ფართობისა, კრიტიკული განიკვეთის ფართობთან  $\approx 4,0$ , რომლის დროს წნევა მერყეობს 0,02-0,8 მპა.


ექსპერიმენტულად დამტკიცებულ იქნა მახასიათებელი დონეები სისტემაში “კავიტაციური ადგილობრივი წინააღმდეგობა და გამომავალი საბურღი მილი“. ამ თვისებებს მიეკუთვნება აგრეთვე რხევის სიხშირის დამოკიდებულება მილისას სიგრძეზე სატენხში, რაც თავისთავად მიანიშნებს მის არააკუსტიკურ ბუნებაზე მაღალ სიხშირულ კავიტაციურ რხევებში. ეს უკანასკნელი მეტად მნიშვნელოვანია, რომლის მიხედვით გამოყვანილ იქნა თანაფარდობა  $f_1/f_2 = l_1/l_2$ , სადაც  $f_1$  აკუსტიკური რხევის სიდიდეა,  $f_2$  – ორმაგი რხევის სიხშირის ამპლიტუდა,  $l_1$  და  $l_2$  – მანძილები რხევის მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის. რხევები და ორმაგი ამპლიტუდა“ მაღალ-სიხშირული კავიტაციური რხევებისა განისაზღვრება გეომეტრიული ფორმით და რეჟიმის პარამეტრებით სატენხის კონსტრუქციაში. “ორმაგი ამპლიტუდით“ გამოითვლება არაჰარმონიული რხევები, რომლის სიდიდე  $\Delta P_2 = P_{2max} - P_{2min}$ , სადაც  $P_{2max}$  წნევის მაქსიმალური სიდიდეა იმპულსში, ხოლო  $P_{2min}$  – წნევის მინიმალური სიდიდე იმპულსში.

## 3. დასკვნა

სატენხის ვიზუალურმა კვლევებმა (გამავალი სითხის ფიზიკური სურათის სახით) გვიჩვენა, რომ კავიტაციის წარმოშობის დროს სითხეში ჩახვევა იქმნება სატენხში ჩადგმული მილისას გამოსავალზე, რომლის დიამეტრია  $d = d_{კრ}$ . თუ  $\bar{P}_2/\bar{P}_1$  თანაფარდობა შემცირდა, მაშინ კავიტაციური ჩახვევის სიგრძე გავრცელდება მის ნაკადში მთელ სიგრძეზე  $d = d_{კრ}$  და შემდეგ მთლიანად სანგრევის ზონაში. წნევის ფიქსირებული მნიშვნელობის დროს  $\bar{P}_2$  გამოსასვლელზე ადგილი აქვს ჩახვევების ზრდას მაქსიმალურ მნიშვნელობამდე, ხოლო შემდგომ ყველა ჩახვევა მიექანება ქვემოთ, შეიწოვება და წარიტაცებს მონგრეული ქანების ნაწილაკებს, აირეკლება სანგრევიდან მიღგარე სივრცისაკენ და ხვდება ტორსული დინების ზონაში. ეს უკანასკნელი

**მეცნიერება - გურჯინის ახალი გეოგრაფია და გეოლოგია, მართვის ავტომატიზაციის სისტემები - SCIENCE**

აძლიერებს შეწოვის პროცესს, როლის შედეგად განაბურლი ნაწილაკები წარიტაცება და განიღვენება სანგრევის ზონიდან მიღგარე სივრცეში აღმაგალი ნაკადით.



დამოკიდებულება  $\Delta P_2 (f)$  იმპულსების გენერირებისათვის

აღსანიშნავია, რომ კავიტაციური ჩახვევით შეწოვის დიდი რაოდენობის დროს ნაკადში წარმოიქმნება მაღალი წნევები. შეწოვის წნევის ტალღა ცენტრიდან ვრცელდება ნაკადის გასწვრივ საკმაო დიდ მანძილზე, ჩაუქრობლად (დაახლოებით 2 მეტრამდე). წნევის ტალღა, რომელიც სანგრევეზე ქმნის უკუნაკადს, წარმოიშობა მოგლეჯის პროცესში და შეწოვისას, რომლის სრული ნაკადი ზემოთ მიღგარე სივრცეში მიემართება ტორსული მოძრაობით.

## მანბანუმის მადნის დალექვის პროცესის მართვის ხერხის შერჩევა

წარდგენილია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს დ. თავხელიძის მიერ

**რეზიუმე:** განხილულია ჭიათურის მამდიდრებელი ფაბრიკის პირობებში ოთხკამერიანი უდგუშო სალექი მანქანის ავტომატური მართვის ხერხის შერჩევის საკითხები. მიღებულ ტექნოლოგიურ კრიტერიუმზე დაყრდნობით, განისაზღვრა მიზნობრივი ფუნქცია და დამუშავდა მართვის ხერხი, რომელიც თითოეულ დამოუკიდებელ საპარო განყოფილებაში მიწოდებული ჰაერის რეგულირებით უზრუნველყოფს მანქანის კონცენტრატის მაქსიმალური საერთო გამოსავალის მიღებას.

**საკვანძო სიტყვები:** დალექვის პროცესი, კონცენტრატის გამოსავალი, მანბანუმის შემცველობა, მმართველი ზემოქმედება, შემაშვოთებელი ზემოქმედება, მათემატიკური მოდელი, ოპტიმიზაციის კრიტერიუმი, მიზნის ფუნქცია, შეზღუდვის ფუნქცია, ექსპერიმენტი, უმცირეს კვადრატთა მეთოდი, მართვის ხერხი.

### 1. შესავალი



რ. ენაგელი,  
სრული პროფესორი

თანამედროვე პირობებში დალექვის პროცესის, როგორც გამდიდრების სხვა ტექნოლოგიური პროცესის, ავტომატური მართვის მიზანია გასამდიდრებელი მადნიდან სასარგებლო მინერალის მაქსიმალური ამოკრეფის მიღება და ისეთი შედეგის მიღწევა, რომელიც ოპტიმალურობის განსაზღვრულ, შერჩეულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.



გ. ჯავახიშვილი,  
ასოცირებული პროფესორი

სასარგებლო კომპონენტის დანაკარგების შემცირების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული მართვის ხერხების ფუნქციური შესაძლებლობების გაფართოებას.


### 2. ძირითადი ნაწილი



მ. ქიტოშვილი,  
ასისტენტი პროფესორი

სალექი მანქანაში გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესი ემყარება სასარგებლო წიაღისეულისა და ფუჭი ქანის ნარევის (პულპის) მარცვლების სიმკვრივეებს შორის განსხვავებას. გასამდიდრებელი მადნის განშრევა (სიმკვრივეზე) დამოკიდებულებით ხდება წყლის აღმავალი და დაღმავალი ნაკადების მოქმედებით, მარცვლების ვარდნის შეზღუდულ პირობებში. წყლისა და მისი სიმკვრივის მიხედვით განშრეებული მასალის პულსაცია შეკუმშული ჰაერით ხორციელდება.

ჭიათურის ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ტექნოლოგიურ ჯაჭვში ჩართული დალექვის პროცესი ხორციელდება ოთხკამერიან უდგუმო (პნევმატურ) სალექ მანქანაში. განვიხილოთ იგი, როგორც ავტომატური მართვის ობიექტი (ნახ. 1).



ნახ. 1. ოთხკამერიანი სალექი მანქანა – ავტომატური მართვის ობიექტი

მანქანის შესავალი ზემოქმედება იყოფა მმართველ და შემაშფოთებელ სიდიდეებად. ზოგადად, მმართველად აიღება სიდიდეები, რომელთა რეგულირებით პროცესი შეიძლება წარიმართოს სასურველ (ოპტიმალურ) რეჟიმში. ჩვენ შემთხვევაში ასეთ სიდიდედ მიღებულია საპაერო განყოფილებაში მიწოდებული ჰაერის რაოდენობა  $B$  ( $m^3/სთ$ ).

შემაშფოთებლად მიიღება სიდიდეები, რომლებიც გავლენას ახდენს ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობაზე, მაგრამ არ გამოდგება მმართველ სიდიდეებად (არ ემორჩილება რეგულირებას). აქ შემაშფოთებელ სიდიდედ გამოყენებულია გასამდიდრებელი მადნის ხარისხი ( $Mn$ -ის შემცველობა გასამდიდრებელ მადანში)  $Z = \alpha$  (%), სალექი მანქანის მწარმოებლურობა გასამდიდრებელი მადნის მიხედვით  $Q$  ( $ტ/სთ$ ) (ეს სიდიდე შეიძლება მიგველო, როგორც მმართველი, მაგრამ კონკრეტულ პირობებში არაა მისი რეგულირების ტექნიკური შესაძლებლობა) და ჰაერის წნევა მანქანის რესივერში ( $10^{-5}პა$ ).

ტექნოლოგიური პროცესის მაჩვენებლებია მართული სიდიდეები, რომლებიც დამოკიდებულია შესავალ სიდიდეებზე, ახასიათებს პროცესის ეფექტურობას და გამოიყენება ოპტიმალურობის კრიტერიუმის ფორმულირებისას. გამდიდრების მაჩვენებლებად მიღებულია კონცენტრატის გამოსავალი  $\gamma$  (%) და ხარისხი ( $n$ -ის შემცველობა კონცენტრატში)  $\beta$  (%).

პროცესის გამოსავალი სიდიდეებია კუდების გამოსავალი (რაოდენობა)  $\gamma_{კლ}$  და მანგანუმის შემცველობა  $\theta_{კლ}$ .

მივიღოთ კონცენტრატის გამოსავალი  $\gamma$  მაქსიმიზაციის და  $\beta$  კონცენტრატის ხარისხის მაჩვენებლებად, რომლებიც სტაბილიზებულია დავალებულ (მოცემულ) დონეზე. მაშინ ოპტიმიზაციის კრიტერიუმი შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$\gamma \rightarrow \text{extr}; \quad \beta = \text{const}. \quad (1)$$

დალექვის პროცესში ოპტიმიზაციის ზემოაღნიშნული ამოცანა შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

$$\gamma = F_1(B) \rightarrow \max, \quad (2)$$

$$\beta = F_2(B, \alpha, Q, P) = \beta_0, \quad (3)$$

სადაც  $\beta_0$  არის  $\beta$  მაჩვენებლის დავალებული (მოცემული) მნიშვნელობა.

(2) მიზნის ფუნქციის ექსტრემიზაციის დროს (3) ხარისხის ფუნქციით განსაზღვრული შეზღუდვის ტოლობის გარდა გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე შეზღუდვები მმართველი სიდიდისათვის:

$$B_{i\min} \leq B \leq B_{i\max}. \quad (4)$$

(2), (3) და (4) გამოსახულებების ერთობლიობა არის ტექნოლოგიური კრიტერიუმი, რომელიც გამომდინარეობს საერთო ეკონომიკური კრიტერიუმიდან და გამოიყენება მამდიდრებელ ფაბრიკებში როგორც მუშაობის პროცესში ტექნოლოგიური პერსონალის მიერ, ისე მართვის სისტემების დაპროექტების დროს.

როგორც 1-ლი ნახ-დან ჩანს, სალექი მანქანა შედგება ოთხი იდენტური კამერისაგან თავისი შესავალი და გამოსავალი სიდიდეებით. დალექვის პროცესის ავტომატიზაციის შესწავლისას მოყვანილი კრიტერიუმის რეალიზაცია თითოეული კამერისათვის ცალ-ცალკე ხდება. მიღებული შედეგები იკრიბება და ვლდებულობთ სრულ სურათს. [2...5]-ში მოყვანილი ტექნოლოგიური პროცესის მარტივი მნიშვნელობის იდენტიფიკაციის მეთოდით აგებულია სალექი მანქანის მათემატიკური მოდელი.

გამოსავლის ფორმულას (მიზნის ფუნქციას) ამ მოდელის მიხედვით აქვს სახე:

$$\gamma(B_i) = a B_i^k e^{-cB_i}. \quad (5)$$

გამოსავლის ფორმულა (5) მმართველი სიდიდისაგან კონცენტრატის გამოსავლის წყვილი კორელაციური დამოკიდებულების მოდელია. იგულისხმება, რომ პროცესის სხვა შესავალი სიდიდეები იცვლება ისევე, როგორც იცვლებოდა ექსპერიმენტის დროს და (5) გამოსახულება განსაზღვრავს გამოსავლის საშუალო მნიშვნელობას მოდელში შეყვანილი მმართველი სიდიდის მოცემული მნიშვნელობის დროს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის შესწავლის დროს გამოსახულება (5) განსაზღვრული უნდა იყოს თითოეული კამერისათვის ცალ-ცალკე.

(5) გამოსახულებაში  $a, k, c$  კოეფიციენტები გამოიანგარიშება, როგორც წესი, უმცირეს კვადრატთა მეთოდით ანუ გადახრათა კვადრატების ჯამის მინიმიზაციის პირობიდან გამომდინარე:

$$f = \sum_{i=1}^n [\gamma_i - \gamma(x_i)]^2 = \min, \quad (6)$$

სადაც  $i$  არის ცდის ნომერი ექსპერიმენტის დროს;  $n$  - ცდების რაოდენობა;  $x_i$  და  $\gamma_i$  -  $x$ -ისა და  $\gamma$ -ს მნიშვნელობები  $i$ -ური ცდის დროს;  $\gamma(x_i)$  -  $x_i$ -ის შესაბამისი (ფორმულით გამოთვლილი)  $\gamma$ -ს მნიშვნელობა.

მამდიდრებელ ფაბრიკაში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების უმცირეს კვდრატთა მეთოდით დამუშავებით თითოეული კამერისათვის განსაზღვრული,  $a$ ,  $k$  და  $c$  მნიშვნელობების გათვალისწინებით, მიზნის ფუნქცია (5) სალექი მანქანის ოთხივე კამერისათვის ღებულობს სახეს:


$$\begin{aligned} \gamma_1(B_1) &= 8 \cdot 10^{-8} \cdot B_1^{6,27} \cdot e^{-0,13B_1}, \\ \gamma_2(B_2) &= 4,41 \cdot 10^{-8} \cdot B_2^{6,89} \cdot e^{-0,17B_2}, \\ \gamma_3(B_3) &= 2,48 \cdot 10^{-8} \cdot B_3^{7,04} \cdot e^{-0,18B_3}, \\ \gamma_4(B_4) &= 8,72 \cdot 10^{-7} \cdot B_4^{5,7} \cdot e^{(-0,15B_4)}. \end{aligned} \quad (7)$$

მიღებული გამოსახულებების შესაბამისი გრაფიკები მოცემულია მე-2 ნახ-ზე.

როგორც ვხედავთ, ოთხივე კამერაში კონცენტრატის გამოსავალს (მიზნის ფუნქციას) ექსტრემალური ხასიათი აქვს.

განვიხილოთ მეორე, განსხვავებული მიდგომა. მივიღოთ, რომ, ავტომატიზაციის თვალსაზრისით, სალექი მანქანა არის არა ოთხი დამოუკიდებელი ობიექტი ოთხი შესავალი სიდიდით  $B_1, B_2, B_3, B_4$  და ოთხი გამოსავლით  $\gamma_1, \gamma_2, \gamma_3, \gamma_4$ , არამედ ერთი ობიექტი ოთხი მმართველი ზემოქმედებით  $B_1, B_2, B_3, B_4$  და ერთი მართული სიდიდით  $\gamma$ . ამ შემთხვევაში მათემატიკური მოდელის გამოსავლის ფუნქცია (5) მიიღებს სახეს:

$$\gamma(B_1, B_2, B_3, B_4) = a B_1^{k_1} B_2^{k_2} B_3^{k_3} B_4^{k_4} e^{-c_1 B_1 - c_2 B_2 - c_3 B_3 - c_4 B_4}. \quad (8)$$



ნახ. 2. სალექი მანქანის მიზნის ფუნქციები

$a, k_1, k_2, k_3, k_4, c_1, c_2, c_3, c_4$  უცნობი კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობები (8) გამოსახულებაში გამოიანგარიშება უმცირეს კვადრატთა მეთოდით. მიღებული კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობების (8)-ში ჩასმით მივიღებთ:

$$\gamma(B_1, B_2, B_3, B_4) = 1.52 * 10^{-6} B_1^{2.19} \cdot B_2^{1.18} \cdot B_3^{0.43} \cdot B_4^{1.53} \cdot e^{-0.07B_1 - 0.021B_2 - 0.0168B_3 - 0.045B_4} \quad (9)$$

მართვის ხერხის შერჩევის მიზნით გამოვთვალოთ კონცენტრატის გამოსავალი სიდიდეები მართვის ორივე ხერხისათვის. ხარისხის (შეზღუდვის) ფუნქციას (3) არ განვიხილათ, რადგან ორივე შემთხვევაში ის გაუტოლდება კონცენტრატის წდ დავალებულ მნიშვნელობას.

შედარება მოხდა მმართველი ზემოქმედებების საშუალო და მაქსიმალური მნიშვნელობების დროს (ცხრილი 1).

ცხრილი 1

№	ტექნოლოგიური სიდიდეები	I კამერა	II კამერა	III კამერა	IV კამერა	Σ
1.	$\bar{B}_i$ , გრად.	41.9	33.5	34.5	35.85	
2.	$\gamma(\bar{B}_i)$ , %	5.18	4.5	3.43	2.93	16.05
3.	$B_{i, \text{მსქ}}$ , გრად.	48.8	40.49	40	38.3	
4.	$\gamma(B_{i, \text{მსქ}})$ , %	5.86	5.41	3.99	3.11	18.37
5.	$\gamma(\bar{B}_1, \bar{B}_2, \bar{B}_3, \bar{B}_4)$ , %					16.62
6.	$B_{2, i, \text{მსქ}}$ , გრად.	41,7	55.85	25.64	34,05	
7.	$\gamma(B_{1\text{მსქ}}, B_{2\text{მსქ}}, B_{3\text{მსქ}}, B_{4\text{მსქ}})$ , %					19.38

განვიხილოთ მართვის ორივე ხერხი მიღებული მონაცემების მიხედვით:

1. სალექ მანქანაზე ჩატარებული პასიური ექსპერიმენტის მონაცემების მიხედვით მმართველი ზემოქმედების საშუალო მნიშვნელობისათვის  $\bar{B}_i$  (სტრიქონი 1). თითოეული კამერისათვის (7) ფორმულით გამოთვლილი  $\gamma(\bar{B}_i)$  სიდიდეების შეკრებით ვღებულობთ  $\gamma(B)=16,05\%$ -ს (სტრიქონი 2). იგივე პირობებში (9) გამოსახულებით ვღებულობთ  $\gamma(B)=16,62\%$ -ს. როგორც ვხედავთ, მეორე ხერხით პროცესის მართვა გვაძლევს კონცენტრატის გამოსავლის  $\gamma(B)=0,57\%$ -ით მატებას.

2. ექსპერიმენტის მონაცემებით აგებული კონცენტრატის გამოსავლის ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობებისათვის. პირველი ხერხით  $B_{1, i, \text{მსქ}}$  (5) ფორმულით გამოიანგარიშება ოთხივე კამერისათვის:  $B_{1, i, \text{მსქ}} = k_i / c_i$  (სტრიქონი 3). ამ სიდიდეების ჩასმით (7) ფორმულაში მივიღებთ  $\gamma(B_{i, \text{მსქ}})=18,37\%$ -ს. მეორე ხერხით  $B_{2, i, \text{მსქ}}$  (9) ფორმულით გამოითვლება ოთხივე კამერისათვის:  $B_{2, i, \text{მსქ}} = k_i / c_i$  (სტრიქონი 6). ამ სიდიდეების გათვალისწინებით (9) გამოსახულება გვაძლევს:  $\gamma(B_{1\text{მსქ}}, B_{2\text{მსქ}}, B_{3\text{მსქ}}, B_{4\text{მსქ}})=19,38\%$ . როგ-

ორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც სახეზეა კონცენტრატის გამოსავალის მატება, რომელიც  $\gamma(B)=1,01\%$  შეადგენს.

### 3. დასკვნა

მრავალკამერიანი საღებო მანქანის ავტომატური მართვისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მართვის ხერხი, რომელიც უზრუნველყოფს საერთო კონცენტრატის მაქსიმალურ გამოსავალს თითოეულ კამერაში მიწოდებული ჰაერის რაოდენობის რეგულირებით.

შესაბამისად, დაღებვის პროცესის ოპტიმიზაციის კრიტერიუმს აქვს სახე:

$$\gamma = F_1(B_1, B_2, B_3, B_4) \rightarrow \max ,$$

$$\beta = F_2(B, \alpha, Q, P) = \beta_{\text{დ}} ,$$

$$B_{i\min} \leq B \leq B_{i\max} .$$

### ლიტერატურა

1. რ. ენაგელი, მ. ქიტოშვილი. მანგანუმის მადნის დაღებვის პროცესის ალბათობითი მოდელი. ჟურნალი „ენერჯია“, №3 (55), 2010 წელი.
2. Буцхрикидзе Г. Д. Модель влияния управляющей величины на показатели технологического процесса обогащения // Труды Грузинского политехнического института. «Горная электромеханика и автоматика», № 9 (230), Тбилиси, 1980, с. 5-10.
3. Буцхрикидзе Г. Д. Вывод формулы кондиционного продукта // Труды Грузинского политехнического института. Горное дело. №9 (191), Тбилиси, 1976. С. 110-113.
4. Буцхрикидзе Г. Д. Метод оптимизационной идентификации технологических процессов обогащения при многих управляющих параметрах // Известия ВУЗ-ов. Горный журнал. №11, 1980. С. 82-86.
5. გ. ბუცხრიკიძე, მ. ონიანი. ოპტიმიზაციის კრიტერიუმი და ამოცანები წიაღისეულის გამდიდრების პროცესებისათვის. „სამთო ჟურნალი“, №2(15), 2005 წელი.



UDC 665.5(05)

R. Enageli, G. Javakhishvili, M. Kitoshvili

1

## SELECTING THE WAYS OF MANAGING MANGANESE ORE SETTLING PROCESS

Presented by D. Tavkheldze, Academician, Technical Sciences Doctor

**SUMMARY:** The article deals with the problem of choosing the ways of automatic control for four-chamber jig without piston under the conditions of Chatura upgrading mill.

On the basis of obtained technological criterion the special purpose and the way of control have been determined, which provides the total maximum yield of the machine concentrate by means of controlling the air supplied to each independent air section.

**KEY WORDS:** settling process, task management, control, alarming amount, optimality, criteria, technological chain, branching, pulsation, input pressure, tails, objective function, extremization, least squares method.

### 1. Introduction

In modern conditions the goal of automatic managing of settling process, as other enriching technological one, is to get maximum of useful minerals from the ore and to gain such results, which can satisfy determined, selected criterion of optimality.


With the purpose of decreasing the loss of useful components it is very important to widen functional possibilities of existing management ways.

### 2. The Body

On enriching technological process in settling machine depends on the difference between the useful fossil and compactness of grains of bad rock mixture (pulp). Branching of the ore to be enriched according to compactness takes place by multiplex rising and down flow of water in the limited terms of grain falling. According to the water and its compactness the branched material takes place by pressed air.

The settling process in Chatura central factory technological chain of is carried out in four-cabin settling machine without piston (pneumatic). Let's discuss it as the object of automatic management (see 1).

The machine opening impact is divided into managing and disturbing values. Generally, managing ones are sizes, by regulating of which one can hold the process in desirable (optimal) regime. In our case such sizes are air quantity supplied to the air section  $B(m^3/h)$ . Disturbing are the sizes having influence on technological processes, but would fail as managing values (do not obey control). Here to the ore to be enriched productivity of settling machine according  $Q(t/h)$  (this value could be admitted as managing one but in the created conditions there is not any possibility to technically) and air pressure in the machine receiver ( $10^{-5}pa$ ).



Pic. 1. Four-cabine settling machin-automatic mananging object

The technological process indices are managing values depending upon the opening values, characterize the effectiveness of the process and are applied in formulation of optimality criterion. For enrichment indices the concentrate yield  $\gamma\%$  and the quality of concentrate (N consistence in the concentrate)  $\beta\%$  are admitted.

The process output values are: tails output (amount)  $Y_{tail}$  and manganese consistence  $Q_{tail}$  in it.

Let's admit the concentrate yield  $\gamma$  as maximization indice and  $\beta$  as concentrate quality one, which is stabilized at the given level. Then the optimization criterion will be as follows:

$$\gamma \rightarrow \text{extr}; \quad \beta = \text{const.} \quad (1)$$

The above mentioned optimization problem for the setting process could be formulated as follows:

$$\gamma = F_1(B) \rightarrow \max, \quad (2)$$

$$\beta = F_2(B, \alpha, Q, P) = \beta_g \quad (3)$$

Where  $\beta_d$  is the given task of  $\beta$  index

For settling process the above mentioned task of optimization may be formed as follows:.

During extremization of aim function (2) besides the equation limited by quality function (3) limits for managing sizes should be considered:

$$B_{i_{\min}} \leq B \leq B_{i_{\max}}, \quad (4)$$

Unity of (2), (3) and (4) expressions is a technological criterion, following from the general economical criterion and is applied in factories both by technological personnel and during the managing systems projecting.

As we can see from picture 1, settling machine consists of four identic cabin with its inlet and outlet sizes. During the settling process automatization study, realization of the given criterion, takes place for each separate cabin. The obtained results are summed up and we get a

complete picture. Mathematical model of the settling machine is set up according to the optimizing identification of technological process given in [2.5].

Outlet formula (aim function) according to this model has the following form:

$$\gamma(B_i) = a B_i^k e^{-c B_i} \quad (5)$$

Outlet formula (5) is the model of pair correlation relation of concentration outlet. It is meant, that other inlet sizes of the process change in the same way as during the experiment and expression (5) determine meaning of outlet during the given managing size input into the model. It must be also mentioned that while learning the process expression (5) must be determined for each cabin separately.

In expression (5) a, k, c coefficients are calculated, as a rule, by the method of the smallest quadrate or following from the minimization condition of quadrate sum of deviation;

$$f = \sum_{i=1}^n [\gamma_i - \gamma(x_i)]^2 = \min, \quad (6)$$

Where: i is the number of test during experiment: -n test quantity;  $X_i$  and  $\gamma_i$  – x and  $\gamma$  meaning, during i like tests;  $\gamma(x_i)$  – meaning of  $\gamma$  corresponding to  $x_1$  (calculated by formula).

Elaborating by the smallest quadrate method the experiment results held in the upgrading factory, considering a, k and c meanings determined for each cabin, the aim function (5) for all four cabins settling machine gets the following form:

$$\begin{aligned} \gamma_1(B_1) &= 8 \cdot 10^{-8} \cdot B_1^{6,27} \cdot e^{-0,13 B_1} \\ \gamma_2(B_2) &= 4,41 \cdot 10^{-8} \cdot B_2^{6,89} \cdot e^{-0,17 B_2} \\ \gamma_3(B_3) &= 2,48 \cdot 10^{-8} \cdot B_3^{7,04} \cdot e^{-0,18 B_3} \\ \gamma_4(B_4) &= 8,72 \cdot 10^{-7} \cdot B_4^{5,7} \cdot e^{-0,15 B_4} \end{aligned} \quad (7)$$


Corresponding diagrams of the accepted expression are given in the picture 2. As we can see in all four cabins the concentrate outlet (aim function) has the extreme character.

Let's discuss another, different approach towards the problem. From the automatization point of view the settling machine is not four independent objects with four inlet sizes  $B_1, B_2, B_3, B_4$  and with four outlets  $\gamma_1, \gamma_2, \gamma_3, \gamma_4$ , but one object with four managing influence  $B_1, B_2, B_3, B_4$  and with one managed size  $\gamma$ . in this case outlet function (5) of mathematical model attains the form:

$$\gamma(B_1, B_2, B_3, B_4) = a B_1^{k_1} B_2^{k_2} B_3^{k_3} B_4^{k_4} e^{-c_1 B_1 - c_2 B_2 - c_3 B_3 - c_4 B_4} \quad (8)$$

a,  $k_1, k_2, k_3, k_4, c_1, c_2, c_3, c_4$  unknown coefficients number meanings in expression (8) is calculated by the the smallest quadrate method. Inserting the accepted coefficients number meanings in (8) we get:

$$\gamma(B_1, B_2, B_3, B_4) = 1.52 \cdot 10^{-6} B_1^{2,19} \cdot B_2^{1,18} \cdot B_3^{0,43} \cdot B_4^{1,53} \cdot e^{-0,07 B_1 - 0,021 B_2 - 0,0168 B_3 - 0,045 B_4} \quad (9)$$



concentrate outlet sizes (values)

Pic. 2. Settling machine task function

Let's calculate concentrate outlet sizes for both ways of managing with the purpose of selection the managing way. We do not discuss quality (limit) function (3) as in both cases it would be equal to concentrate meaning  $\beta_d$ .

Comparison took place during average and maximum meanings of managing influences (schedule 1):

Table 1

#	Technologic values	I Camera	II Camera	III Camera	IV Camera	☐
1.	$\bar{B}_i$ , degree.	41.9	33.5	34.5	35.85	
2.	$\gamma(\bar{B}_i)$ , %	5.18	4.5	3.43	2.93	16.05
3.	$B_{i MAX}$ , degree.	48.8	40.49	40	38.3	
4.	$\gamma(B_{i MAX})$ , %	5.86	5.41	3.99	3.11	18.37
5.	$\gamma(\bar{B}_1, \bar{B}_2, \bar{B}_3, \bar{B}_4)$ , %					16.62
6.	$B_{2i MAX}$ , degree.	41,7	55.85	25.64	34,05	
7.	$\gamma(B_{1MAX}, B_{2MAX}, B_{3MAX}, B_{4MAX})$ , %					19.38

Let's discuss both ways of managing, according to the obtained data:

1. According to the passive experiment data carried out on the settling machine for the average meaning of managing influence  $B_i$  (line 1). For each cabin by summing up  $\gamma(B_i)$  values calculated from formula (7) we get  $\gamma(B)=16,05\%$  (line 2). In the same terms by (9) we get

$\gamma(B)=16,62\%$ . As we can see managing the process by the second way gives concentrate increase outlet by  $\gamma(B)=0,57\%$ .

2. For concentrate outlet function maximum meanings setup according to the experiment data. By the first method  $B_{i\max}$  by formula (5) for four cabins,  $B_{i\max}=k_1/c_1$  (line 3). Inserting these values in formula (7) we get  $\gamma(B_{1\max})\approx 18,37\%$ . By the second method  $B_{2i\max}$  by formula (9) for four cabins:  $B_{2i\max}=k_i/c_i$ . (line 6). Considering these values expression (9) gives  $\gamma(B_{1\max}, B_{2\max}, B_{3\max}, B_{4\max}) \approx 19,38\%$ . As we see even in this case concentrate outlet increase is clear,  $\gamma(B)=1,01\%$ .

### 3. Conclusion

On the basis of the analysis for the multi-cabin settling machine automatic control it's expedient to apply the managing way, which provides the total concentrate maximum outlet by the air amount control supplied to each cabin.

Accordingly the settling process optimization criterion:

$$\begin{aligned}\gamma &= F_1(B_1, B_2, B_3, B_4) \rightarrow \max \\ \beta &= F_2(B, \alpha, Q, P) = \beta_{\text{opt}}, \\ B_{i\min} &\leq B \leq B_{i\max},\end{aligned}$$

### References

1. R. Enageli, M. Qitoshvili - Manganese Ore Setting Process Probability Model. Journ. "Energia" #3(55), Tbilisi, 2010.
2. G. Butskhrikidze. Model of Managing Size (value) Influence on Upgrading Technological Process. Works. Georgian Technical University. Mining Electromechanics and Automatics. #9(230), p.p 5-10, Tbilisi, 1980.
3. G. Butskhrikidze. Formula for Conditioning Product. Works. GTU, Mining. #9 (191), p.p.110-113, Tbilisi, 1976.
4. G. Butskhrikidze. Optimizing Identification Method of Technological Processes for Upgrading with Multi Parameter Control, Journ, #11, p.p 82-86, 1980, Tbilisi.
5. G. Butskhrikidze, M. Oniani - Optimization Criterion and Problems for Mineral Resources Upgrading Processes. "Mining Journal", #2, (15), Tbilisi, 2005

შპს 622.276.47922

ზ. მგელაძე, ი. ბახტაძე, დ. გაჯიევი-შენგელია

## ნავთობგაზომავიზუალებელი კომპლექსის განვითარების მართებული პოლიტიკა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარია

**რეზიუმე:** 1981-1983 წლებში საქართველოში ნავთობის მოპოვება წელიწადში 3,3 მლნ. ტონას აღწევდა. მკვლევართა მონაცემებით, ნავთობის პროგნოზული რესურსი შეადგენს 2,440 მლნ. ტ. გაზის – 180 მლრდ მ<sup>3</sup>. ამ რესურსის 40-50% მოპოვების შემთხვევაში ქვეყანა მილიარდობით დოლარის მოგებას მიიღებს. უცხოელი ინვესტიციების მიუხედავად, დარგის განვითარება მაინც ვერ მოხერხდა. ამჟამად მოპოვება რამდენიმე ათეულ ათასს ტონას შეადგენს წელიწადში. ბიუჯეტი არღებულაობს მნიშვნელოვან შემოსავალს. ვითარების შესაცვლელად საჭიროა: 1) საზოგადოებაში საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების სიმცირის შესახებ არასწორი წარმოდგენის უარყოფა; 2) უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება; 3) სპეციალიზებული სახელმწიფო სამსახურის შექმნა, რომლის ამოცანა უნდა იყოს ნავთობისა და გაზზე ძებნა-ძიებითი და საექსპლუატაციო სამუშაოების ეფექტურობის გაზრდაზე ზრუნვა. შედეგად, წელიწადში ბიუჯეტში შევა რამდენიმე ასეული მილიარდი დოლარი. უფრო მეტი შემოსავლის მიღება შეიძლება ნავთობგაზგადამუშავების პროდუქტების წარმოებისა და გაყიდვის შემთხვევაში. ეკონომიკის ინტენსიური განვითარება შექმნის ბევრ სამუშაო ადგილს შექმნის, აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ხელს შეუწყობს ქვეყნის გაერთიანებას და საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ნავთობი, რესურსები, ძიება, მოპოვება, გადამუშავება, ეკონომიკა, განვითარება.

### 1. შესავალი



**ზ. მგელაძე,**

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მინერალური რესურსების საერთაშორისო, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა, ენერგეტიკისა და ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი, პროფ.

XXI საუკუნეში კაცობრიობის წინაშე მდგარ საკითხებს შორის ენერგეტიკის საკითხების გადაწყვეტა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. დღეს საწვავი ნამარხები – ეკონომიკის საფუძველია, ხოლო მათი მოპოვება სამრეწველო კომპლექსის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ქვეყანას, რომელსაც გააჩნია საკუთარი ნავთობისა და გაზის საკმარისი რესურსები, შეუძლია უზრუნველყოს ენერგოსაფრთხოება, ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებას და



**იური ბახტაძე,**

გეოლოგი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სისტემური ანალიზისა და მოდელირების დარგში, "სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ფონდის" "ნავთობისა და გაზის დროებითი კომისიის" ექსპერტ-ორგანიზატორი

ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. საქართველოს ნავთობგაზიანობის პოტენციალით,

თავისუფლად შეუძლია შევიდეს ამ ქვეყნების რიცხვში. ერთ სულ მოსახლეზე ნავთობის რესურსებით გადათვლისას არ ჩამოუვარდებით მსოფლიოს ნავთობგაზმომპოვებელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს [3].

### 1. ძირითადი ნაწილი



დ. გაჯიევი-შენგელია,  
ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, ექსპერტი

ნავთობგაზიანობის შეფასებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება: რეგიონის განლაგებას ტექტონიკურ ზონაში, დანალექი საფარის სიმძლავრეს, ცალკეულ ფორმაციებში ნავთობგაზწარმომშობ პოტენციურ კოლექტორებს და წყალგაუმტარ ქანებს (სახურავებს), ჰიდროდინამიკურ რეჟიმს, ცალკეული ნაოჭების კონფიგურაციას, ზედაპირული და სიღრმული რღვევების არსებობას და სხვა [6]. ნავთობგაზიანობის შეფასების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს ქანების მოცულობა, მათი ლითოლოგიურ-ფაქციალური ანალიზი, ეპიგენეზისის და კატაგენეზისის პროცესების მოქმედების შედეგად ფილტრაციულ-ფართობრივი ფაქტორების შეცვლის კანონზომიერების დადგენა. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ფაქტორის ერთობლიობა აკმაყოფილებს ნავთობისა და გაზის წარმომშობის და მათი ბუდობების ფორმირების მოთხოვნებს [7].

საქართველო გეოლოგიური აგებულებით ერთდროულად მიეკუთვნება ორ ნავთობგაზმომცველ ტერიტორიას: აღმოსავლეთ შავი ზღვის ოლქს (დასავლეთ საქართველო) და სამხრეთ-კასპიის ნავთობგაზიან პროვინციას (აღმოსავლეთ საქართველო) [5]. ქვეყანაში ცნობილია ნავთობისა და გაზის 1500-ზე მეტი გამოვლინება, რომლებიც დაკავშირებულია დანალექი საფარის სხვადასხვა ასაკის და შედგენილობის ქანებთან ტორსულ-აალენურიდან პლიოცენამდე ჩათვლით. აღმოჩენილია ნახშირწყალბადების 18 საბადო: 16-ნავთობის, 1-გაზკონდენსატი, 1-გაზის. მათ შორის გამოიკვეთება თბილისისპირა რაიონში განლაგებული, გეოლოგიური აგებულებით უნიკალური საბადოები, რომლებიც ნავთობის მნიშვნელოვან მარაგს შეიცავს. კერძოდ, სამგორი-პატარძელის ნავთობის საბადო მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით დიდ საბადოთა რიცხვს მიეკუთვნება (რომლის მარაგი 30 მლნ ტ აჭარბებს).

1981-1983 წლებში საქართველოში ნავთობის მოპოვება წელიწადში 3.3 მლნ ტონას აღწევდა [1]. 90-იანი წლების ბოლოს უცხოელი და ქართველი სპეციალისტების მიერ დათვლილ იქნა ნავთობის პროგნოზული რესურსი, რომელმაც შეადგინა 2 მილიარდ 440 მილიონი ტონა, გაზის პროგნოზული რესურსი (აღმოსავლეთ საქართველო) 180 მლრდ მ<sup>3</sup> [2]. ამ პოტენციური რესურსის 40–50% მოპოვების შემთხვევაში ქვეყანა რამდენიმე ასეულ მილიარდ დოლარის მოგებას მიიღებს.

